ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2012 წლის 13 თებერვალი

ქ. ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18[1] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

ქ. ვანის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) შესაბამისი დასახლების მაკრომდებარეობის ინდექსი – Img;

ბ) ლოკალური ტერიტორიული ინდექსი – I_{tL};

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვ.მ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი – C;

დ) მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი – K.

მუხლი 2

ლოკალური ტერიტორიული ინდექსის სიდიდე ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 1,0-ით.

მუხლი 3

მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი ქ. ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს 100-ით: K=100

მუხლი 4

მიწის ნორმატიული ფასი 1 კვმ მიწის ფართობისათვის ქ.ვანის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$CN=Img \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) Img – ვანის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს – 0,37-ს;

ბ) I_{tL} – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით შეადგენს – 1,0-ს;

გ) C – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია – 0,24 ლარით;

დ) K – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღრულია – 100-ით;

ე) CN=0,37 X 1X 0,24 X 100=8,88 (ლარი).

მუხლი 5.

დადგენილების მეოთხე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე – 8,88 ლარით;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე – 3,00 ლარით;

გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში – 5,00 ლარით;

დ) დასახლებათა შორის არეალებში – 2,50 ლარით.

მუხლი 6.

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ოჩხიკიძემ.

მუხლი 7.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. კაკაბაძე